საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/324 "10" დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დ. კეკენაძის გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №1/289 გადაწყვეტილებით დავით კეკენაძე გათავისუფლდა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დაინიშნა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. აღნიშნული გადაწყვეტილება ამოქმედდა 2019 წლის 2 დეკემბრიდან, შესაბამისად ამ დროიდან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში არსებული მოსამართლის 1 საშტატო ერთეული დარჩა ვაკანტური. იმის გამო, რომ მითითებულ სასამართლოში არც ერთი მოსამართლე აღარ ახორციელებს უფლებამოსილებას „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიემართათ ახლოს მდებარე სასამართლოთა, კერძოდ ზუგდიდის რაიონული და ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს. 2019 წლის 10 დეკემბერს წარმოადგენილ იქნა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძის თანხმობა, მივლინებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს დატვირთულობა თვის განმავლობაში შეადგენს 10-12 საქმეს, შესაბამისად, აღნიშნული მივლინება მნიშვნელოვნად არ გაზრდის ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძის დატვირთვას. ამასთან, თავიდან იქნება აცილებული მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოში. დავით კეკენაძე, მისივე თანხმობით, იმავდროულად უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს ფოთის საქალაქო სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძე მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2019 წლის 11 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე.

2. დავით კეკენაძემ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ფოთის საქალაქო სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი